№ 218 ოქტომბერი 19, ოთხშაბათი 1888 ოქტომბერი 19, ოთხშაბათი № 218


გაზეთი ღირს

| თვეე | მან. | კ. | თვეე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანტორას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


## რედაქციისაგან

გუშინ, 18 ოქტომბერს, სამშაბათის ნომერი გაზეთისა ვერ გამოვიდა იმის გამ.ო, რომ სტამბა სხვა ადგილას იქმნა გადატანილი და გაზეთის აწყობა დაგვიბრკოლეს. ამ დაკლებულის ნომრის სამაგიეროდ დაიბეჭდება გაზეთი 24 ოქტომბერს, ორშაბათს, ესე იგი ისეთს დღეს, როცა ჩვენი გაზეთი არ გამოდის ხოლმე.

## ქართული თეატრი

**ხუთშაბათს, 20 ოქტომბერს,**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

**სკაპენის ცუღლუტობა**

კომ. 3 მოქმედ., მოლიერისა, თარგმ. აკ. წერეთლისა.

სკაპენის როლს შეასრულებს კ. ა. აბაშიძე.

II

**ოინბაზი**

ვოდ. 1 მოქმედებად

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი მელიქოვისა, თამაროვისა, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი ყიფიანი, გამყრელიძე, აწყურელი, დილმელი, მაქსიმიძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი $7\frac{1}{2}$ საათზე.

## მათნი უდიდებულესობანი ქუთაისში.

ქუთაისი, 14 ოქტომბერს: გუშინდელს დღეს ჩვენმა სიხარულმა უზენაეს წერტილამდე მიაღწია, ჰკვირობდა ყოველი კაცი მათ უდიდებულესობათა გულ-კეთილობას, მოწყალებასა და ალერსიანობას და ამის შემხედვარე ყველანი განუსაზღვრელის სიხარულით აღივსნენ. ყველამ იგრძნო, რომ ჩვენ, ქართველები, ისე ახლოს ვყოფილვართ მათ უდიდებულესობათა გულთან, როგორც მკვიდრნი რუსნი: ეს დიდად მნიშვნელოვანი დღე იყო ჩვენთვის და მუდამ სამახსოვრად დარჩება, როგორც დღე გამარჯვებისა და სიხარულისა. ახლა შევუდგეთ თვით ამ სახსოვარის დღის აღწერას.

დილა თუმცა-ღა ღრუბლიანი იყო, მაგრამ უწვიმარი და უფრო თბილი, ვიდრე წინა დღეს. დილის რვა საათიდგან დანიშნული იყო თხოვნების მირთმევა და ხალხი მიაწყდა სასახლეს. ათ საათამდე განუწყვეტლივ მიდიოდა ხალხი და აძლევდა თხოვნებს.

დილიდგან აუარებელი ხალხი შეკრიბა და გაიბაწრა ქუჩებში, სასახლიდგან მოკიდებული სააკადმყოფომდე და სასახლიდგან რკინის გზის სადგურამდე, რადგან ხელმწიფე იმპერატორს ჯერ საავადმყოფო უნდა დაეთვალიერებინა და მერე გელათში წაბრძანებულიყო. ხალხი, როგორც ვსთქვით, აუარებელი იყო, ზანები და ხეებიც არ დაუტოვებიათ თავისუფლად, მაგრამ წესიერება შესანიშნავად იყო დაცული.

სანამ მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი გამობძანდებოდნენ, ხელმწიფე იმპერატრიცას დანიშნული ჰქონდა მიღება და წარჩინებული მანდილოსნები მოდიოდნენ მათ სანახავად. შემდეგ საუზმე იყო გამართული. ამ დროს სასახლის წინ თერგის ყაზახრუსებმა, მშვენიერ თეთრ მაუდის ჩოხებში გამოწყობილებმა, დაუკრეს მუსიკა. საუზმეს მირთმევის შემდეგ მათნი უდიდებულესობანი გაბძანდნენ და გაემართნენ საავადმყოფოსაკენ. გზაზე მათნი უდიდებულესობანი მოწყალეს თვალით უყურებდნენ მცხოვრებლებს და ღიმილითა და ალერსით სალამს აძლევდნენ. ხალხი ძლიერის „ურას" ძახილით ეგებებოდა. პირველ საათზედ მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი დაბრუნდნენ გელათში წასასვლელად. სასახლესთან რომ მაიწიეს, იქ დახვდათ ჩამწკრივებული მოწაფეები სხვა-და სხვა სასწავლებლებისა. თვით რკინის გზის სადგურთან იყვნენ ჩამწკრივებულნი გიმნაზიისა და პროგიმნაზიის მოწაფეები; გიმნაზიის მოსწავლეთა ხორომ დაუკრა მუსიკა „ღმერთო მეფე დაიცევ" სადგურზედ. რაკი გამოჩნდა მათ უდიდებულესობათა ეტლი, მორთეს „ურას" ძახილი. ეს „ურა" შესწყდა მხოლოდ მაშინ, როცა რკინის გზის მატარებელი თვალს მიეფარა.

მათნი უდიდებულესობანი მობრძანდნენ გელათს, დაათვალიერეს მონასტერი და დიდის ყურადღებით გასინჯეს ძველი განძეულობა გელათისა. მათ უდიდებულესობათა გელათისა და იმის განძეულობის ვითარება მოახსენა ბ-ნმა გ. წერეთელმა. შემდეგ მათ უდიდებულესობათა კეთილ ინებეს იქვე ჩაის მირთმევა და ხუთს საათს ისევ ქუთაისს მობრძანდნენ.

ამ ხანებში დიდი ფაცა-ფუცი იყო ქუთაისის ბაღში. უკანასკნელი აქტი ამ დღესასწაულისა აქ უნდა მომხდარიყო. ბაღში, როგორც მოგეხსენებათ, მათ უდიდებულესობათა მისაღებად პავილიონი აგეს. ეს პავილიონი ძლიერ ლამაზი და პატარაა, მაგრამ ერთობ კოხტა და ლაზათიანი, სულ ქანდაკით და ჩუქურთმით არის ნაკეთები. აქ უნდა მიერთმიათ სადამოს მათ უდიდებულესობათ ჩაი და ხილი. მზადება იყო როგორც შიგ შენობაში, ისე გარედაც. ბაღის გასანათებლად დიდი დამარაგება იყო, მაგრამ არც გარშემო შენობები ჩამორჩენილან უკან. განსაკუთრებით კარგად განათებული იყო საურთიერთო ბანკის სადგომი. სანამ ჩაიზე მობძანდებოდნენ მათნი უდიდებულესობანი, სადილი უნდა მიერთმიათ. საქალაქო გიმნაზიაში, სადაც მათ უდიდებულესობათა მიპატიჟებული ჰყავდათ საპატიო ქალი და კაცი ყველა მხრიდგან, სუფრა იყო გაწყობილი 150 კაცისათვის; საჭმელებ..ს ხიაზე გამოხატული იყო სურათები კავკასიის ცხოვრებიდგან. აი თვით სიაც: წვნიანი იხვებისა, კუპატები, კეფალი ცივად, ბარკალი სანელებელით, შემწვარი ვარიები ტრუფელებით, სხვა-და-სხვა შემწვარი, სალათა, ყვავილიანი კომპოსტო და ტკბილეული.

რვა საათზედ მობრძანდა ხელმწიფე იმპერატორი სახლობითურთ და დაბრძანდნენ ნადიმად. სადილს შემდეგ, ათს საათზედ, მათნი უდიდებულესობანი მობრძანდნენ პავილიონში. საზოგადოება ცოტა იყო თვით პავილიონში, მაგრამ ბაღში-კი ტევა არ იყო. ბაღში ათასის კაცისათვის სუფრები იყო დამზადებული მამასახლისებისათვის და ქუთაისის მოხელეთათვის. უნდა ვენახათ, რა ალერსიანად და სიამოვნებით უყურებდნენ საზოგადოებას მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი. „ღმერთო, ჰფარავდე მეფე"-ს შემდეგ გაიმართა ლეკური და ისევ გალობა. იმღერეს ქართული სიმღერები „ჩარიჩარი", „ოდელა", „მიყვარს ფაცხა" „არალო" და სხვანი. მერე კიდევ ლეკური და კიდევ ლეკური. განსაკუთრებით მოეწონათ პატარა ბავ ძის გაძა ძეილის ცეკვა და გამძღოლების კიდეც. მათ უდიდებულესობათ მიიწოდეს თავის სუფრაზე ჩაიზე კნ. ნ. ჩოლაყაშვილისა და კნ. ბ. ნაკაშიძისა, გუბერნატორის მეუღლე, და მოწყალედ ესაუბრებოდნენ. აგრეთვე ხელ-

## ფელეტონი

### ქველი საერო პოეზიისა ქართლის ცხოვრებაში.

(წერილი მესამე*)

მივმართოთ კვალს სიმბოლიურის მითისას. რადგანაც ჯერ მხოლოდ ჩვენის მემატიანეს დასაწყისს ვაქცევთ ყურადღებას, ამიტომ მივმართავთ მე 23 გვერდს. აქ ვკითხულობთ: აფრიდონმან „შეკრაო ჯაჭვითა ბევრასფ, გველთა უფალიო, და დაება მთასა ზედა, რომელ არს კაცთ-შეუვალიო" ეს ამონაწერი ამბავი მითია და გვიხსნის, რა ბრძოლა გამოუვლია ჩვენს ერს ბუნებასთან, მხეცებთან, ქვემძრომთან. როგორც წინა წერილშიაც ვსთქვით, ეს ამბავი არ არის პირდაპირ შაჰნამედან ამოღებული, როგორც ჰგონია პროფ. პატკანოვს, არამედ გავლილი აქვს გზა ერის მეხსიერებაში და შემდეგ არის მხოლოდ ჩაწერილი მატიანეში. შეიძლება ბევრასფის ამბავი ერთ ნაირად იყო გავრცელებული საქართველოსა და სპარსეთში, ერთ ნაირი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ორ მეზობელ ერთათვის, როგორც პრომეთევსის ამბავი წინად საბერძნეთში ტრიალებდა და შემდეგ, როცა გაიცნეს ლეგენდა ჩვენის ამირანისა, თვით ბერძნებმა ჩვენი გმირს დაუახლოვეს პრომეთევსი და იმისის სახელის ქვეყნადაც კავკასია დასახეს. შეიძლება აგრეთვე ბევრასპი,**) სპარსელების ბევერასპი, დაუახლოვდეს ჩვენს ამირანს, თუმცა სახელი ისე შეცვლილია, რომ უნდა ვიფიქროთ იგი სახელი ჯერ დიდხანს ყოფილა ერის ხსოვნაში და მხოლოდ შემდეგ ჩაწერილა „ქართლის ცხოვრებაში".

სიმბოლიკური მითი აშკარად დარჩენილა ჩვენს მატიანეში. ერს ბუნდად ახსოვს ბრძოლა ნებროთ გმირთან, განთავისუფლება უცხო ბძანებლებისგან, მოკვლა იმისი „ღალატით" ჰაოსის მიერ. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ სომხთა მამათ მთავარი ამ ბრძოლაში უკან არის დაყენებული. ჰაოსი ყოველთვის „ზურგით" სდგას, პირდაპირ მტერზე არ მიდის; ეს ნიშანია იმისი, რომ ჰაოსი შემდეგ უცხო კაცის ხელით არის ჩართული ქართლოსის ამბავში. „ხოლო ჰაოს სპათა უძლიერესითა დაუდგა უკანით, ზურგით" (ქარ. ცხ., 18). მეორედაც ჰაოსი ჩართულია ჩვენს მატიანეში ისევე იმიტომ, რომ მემატიანემ სთქვას: «ჰაოს უდგა ზურგით» (ქარ. ცხ. ib.). ეს ამოწერილი ადგილები სრულებით არ მოიპოვება რუმიანცოვის ვარიანტში და დაბეჭდილს ტექსტს ამოუღია ჰაოსზე ცნობა Armen. Chronique-იდამ, რომელიც ნათარგმნია ჰაოსის ჩამომავლის მიერ. საკვირველია, რომ სომხეთ-მოყვარე მთარგმნელმა, რომელსაც სურდა ჰაოსისთვის საპატიო ადგილი მიეკუთვნა „ქართლის ცხოვრებაში", უკეთესი როლი ვერ უპოვა გარდა უკან, ზურგით ამოფარებისა!

ჩვენს ერს ახსოვს ბრძოლა სპარსელებთან, ხაზარებთან და ნიშნად იმისი, რომ დიდმა ხანმა გაიარა ორს ამბავს შუა, ჩვენი მატიანე ხშირად უმატებს: „და გამოვიდეს ამას შინა ჟამნი მრავალნი" (ქართ. ცხ., 25). ერს ახსოვს აგრეთვე მოსვლა ურიათა საქართველოში და თავისებურად ხსნის „ქვეყანას ხარკითა". ს. ს. მოვყვიდამ ხარკი, რომელიც დაედოთ ებრაელებს, ჩვენს ერს ახსოვს ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლა, იმის მოადგილეს აზონის განდევნა, ახსოვს, ერთის სიტყვით, ყველა შესანიშნავი დრო წარსულის ცხოვრებისა და თავის თავგადასავლისა. აქ თვით ერის შედეგი იდბალი და თავ-გადასავალია წარმოდგენილი, თვით ერის გონებას დაუცავს წარსულის მოგონება და ანდერძნი.

თუ გადავხედავთ შინაურს ცხოვრებას, ერს დაჰხსომებია დრო მამასახლისობისა, ის ხანა წარსულისა, როცა თემ-თემად სცხოვრებდნენ ქართველები, ჰყავდათ თავიანთი უფროსი მამასახლისი, რომელიც იყო მსაჯულიცა და მზრუნველიც თემისა. უფროსი მამასახლისი იყო მცხეთისა; მის ჩამომავალი მეფე ფარნავაზი აერთებს სუყველა თემებს, როგორც ბერძენთა თეზეი ჰკრეფავს ათინაში გაფანტულს თემებს და ადგენს სინოიკიზმს. ჰხედავთ, რომ ჩვენს ერს, როგორც ბერძნებს, რუსებს, ახსოვს უძველესი ხანა თავის წარსულისა, როცა, როგორც ნესტორი მოგვითხრობს სლავიანებზე: „живяху кождо съ своимъ родомъ на своихъ мѣстѣхъ, владѣюще кождо родомъ своимъ". ნესტორმაც ერის მეხსიერებიდამ შეიტანა თავის მატიანეში ცნობა თემ-თემად ცხოვრებისა; აგრეთვე ჩვენის მატიანეს დამწერს მამასახლისების ამბავი დაუმყარებია ერის გადმონაცემსა და ნაანდერძევზე.

შინაურის ცხოვრებიდამ ერს ახსოვს ის დრო, როცა ჯერ კიდევ არ იცოდნენ ქართველებმა ქვითკირის სახლები. ნებროთის შიშის არიდამს შემდეგ ქართველებმა „დაისწავლეს ქვიტკირთა საქმე" (ქარ. ცხ. 23).

თუ რელიგიურს მითს მივმართავთ, აქ ჰნახავთ ქართლოსის გაღმერთებას. „უფროსი საფლავი მათი იყო საფლავი ქართლოსისა". თავიანთი ეპონიმი, რომელმაც ხალხის წარმოდგენით, მთელს ქვეყანას უწოდა თავისი სახელი, ერმა გაღმერთა, როგორც რომული რომაელებმა. აქ სომხების გავლენას ვერა ვხედავთ. ჰაოსის გაღმერთება, ეგონებ, არავის გაუგონია. „ქართლმა" დაჰბადა „ქართლოსი" ახსნილად თავისის სახელ-წოდებისა და ეს კაცი, რომელმაც ქართველს ერს მისცა დასაწყისი, ხალხის თვალში უნდა ყოფილიყო ღვთის სწორი არსება; იმისი სახიერება უფრო იზიდავდა ერის გონებას მერე და მერე, ფანტაზია ერისა უფრო და უფრო აზვიადებდა საქმეებსა და მოღვაწეობას ქართლოსისას.

აი მეორე მაგალითი კიდევ რელიგიურის მითისა: ერს ახსოვს, რომ იყო კერპი „არმაზი", რომელსაც წარმართნი ქართველნი თაყვანს სცემდნენ, ვითარცა ღმერთსა. რა იყო „არმაზი", ვის სცემდა ერი პატივს არმაზის სახელით? ვისა და ფარნავაზს. „ამანვე ფარნავაზ,— ამბობს „ქართლის ცხოვრება": — შექმნა კერპი დიდი, სახელსა ზედა თვისსა. ესევე არს არმაზი და ფარნავაზ სპარსულად არმაზ ერქვა" (ქარ. ცხ. 32). ჰხედავთ ერმა საიდგან ახსნა კერპის სახელი — სპარსულის სახელიდამ ფარნავაზისა. ერს ახსოვს იდეა არმაზისა, ჰაურს მისი მიზეზს პოვნა და თავისს პირველს მეფეს ღმერთად ხდის, რომ ცნობის-მოყვარეობა დაიკმაყოფილოს. აქ ჰხედავთ ისტორიულ ფაქტს — წარმართთა დროს, — მაგრამ მას თავისი ახსნა ემატება. მითი ამ შემთხვევაში გადადის საგად. საგას უწოდებენ ისეთს გარდმოცემას, რომლის ფესვი ისტორიული ფაქტია, მაგრამ გადმოცემით განდიდებული, გალამაზებული, გაზვიადებული. საგა ფაქტია, მაგრამ ხშირად იმოსება საწაულთა თვისებით. საგას წარმოადგენს ჩვენს მატიანეში ფარნავაზ და მირიან მეფის ამბები. ამ ამბების გარჩევას შემდეგის წერილისათვის გადავდებთ.

მოსკოვი ა. ხ.

*) იხ. „ივერია" № 214.

**) ბევრასპი, თუ გნებავთ, იგივე ამირანია, მხოლოდ სახელ-შეცვლილი შეიძლება შაჰნამეს ამბის გავლენით.

მწიფე იმპერატორმა მიიწვია არქიტექტორი ლენჩიცკი რომელმაც ააშენა ეს მშვენიერი პავილიონი და გააბედნიერა თავისის საუბრით. 12 საათის ნახევარზე ჩვენი უავგუსტოესი სტუმრები წაბრძანდნენ პავილიონიდგან გზაზე ხელმწიფე იმპერატრიცას ერთი პაწია ქალი შეხვდა და შემოეხვია მუხლებზე. როცა ბავშვს ჰკითხეს, რა გსურსო, მან უპასუხა: „სწავლაო“. მათ უდიდებულესობათა ჩააწერინეს ყმაწვილის ვინაობა.

ბაღი და გარეშემო შენობები საუცხოვოდ იყო გამართული და გაჩაღებული. ხალხიც აუარებელი იყო. მათი უდიდებულესობა გამობრძანდა ხალხთან; შეიქნა საშინელი «ურას» ძახილი, ყველა სცდილობდა ახლოს მისულიყო. მათმა უდიდებულესობამ ალერსიანად სალამი მისცა. წესიერება საუცხოვოდ იყო დაცული.

ღამით მათნი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ ბათუმს. ბედნიერ და კურთხეულ იყოს მათი მგზავრობა! ჩვენ-კი დიდი იმედი და სიხარული ჩაგვინერგეს გულში. ხალხი დიდხანს საამოვნებდა და ქეიფობდა შემდეგაც. ეს დღე სწორედ საერო დღესასწაულად გარდაიქცა.

ზესიკი

## ახალი ამბავი

*** 13 ოქტომბერს მათნი უდიდებულესობანი მემკვიდრე ცესარევიჩითურთ და დიდ მთავარ გიორგი ალექსანდრეს ძითურთ მობრძანდნენ გელათს, ნაშუადღევის ორს საათზე. მთელის ოკრიბიდგან იყო მოსული დიდ-ძალი ხალხი, რომელიც სიხარულითა და ურას ძახილით მიეგება მათ უდიდებულესობათა. მათნი უდიდებულესობანი და მათნი უმაღლესობანი ეტლებით მობრძანდნენ თვით მონასტრამდე ჩინებულის შარა გზითა. მონასტრის ეზოში მათ უდიდებულესობათა მიეგებნენ მოსწავლე ქალები და ვაჟები ქუთაისის მაზრის ხუთის პირველ დასაწყისის სასწავლებლისა ხონის სკოლის მოსწავლე ქალებმა მიართვეს ხელმწიფე იმპერატორს კონა აბრეშუმის პარკებისა; ხელმწიფე იმპერატრიცას მიართვეს ამ გვარივე კონა და ჩინებული აბრეშუმის შარფი. ხონის პირველ დაწყებითის სკოლის მოსწავლე ვაჟებმა მიართვეს თაფლის პურები საკუთარის სკიდგან. ერთმა გლეხმა მიართვა ხელმწიფე იმპერატორს და ხელმწიფე იმპერატრიცას ორი ხატი—მაცხოვრისა და წმ. ნინოსი. ეს ხატები თვით ამ გლეხს დაუხატავს. მათნი უდიდებულესობანი მიბრძანდნენ ტაძარს, სადაც იმერეთის ეპისკოპოსმა შესხმა მოახსენა, მცირე პარაკლისის შემდეგ. მათ უდიდებულესობათა დაწვრილებით დაათვალიერეს ძველი განძეულობა გელათის მონასტრისა. მათ უდიდებულესობათა დიდი ყურადღება მიაპყრეს საქართველოს დიდებულის ტაძრის არხეოლოგიურს ნივთებს. მათნი უდიდებულესობანი კიბით აბრძანდნენ მეიდნის ზემოდ და დაათვალიერეს წმ. ნიკოლოზის ეკკლესია. აგრეთვე მათ უდიდებულესობათ ყურადღება ათხოვეს მეფე დავით აღმაშენებლის საფლავს, იმერეთის მეფის ალექსანდრე მეოთხისას და დედოფლის ნესტან-დარეჯანისას. შემდეგ მათ უდიდებულესობათ და მათ უმაღლესობათ მიართვეს ჩაი და ხილი ეპისკოპოსის სადგომის აივანზე. აივნიდგან მათნი უდიდებულესობანი გადასცქეროდნენ წყალ-წითელას ხეობას და ყურსების მთას და სტკბებოდნენ ჩინებულის სანახავით. მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ღირსი შეიქმნა მათ უდიდებულესობათა განსაკუთრებულის ყურადღებისა. მათნი უდიდებულესობანი დარჩნენ მონასტერში ერთს საათზე მეტნი და შემდეგ წაბრძანდნენ მოწამეთს სრულის კმაყოფილებით, რომ იხილეს დიდებული ტაძარი საქართველოისა („Нов. Об.“)

*** იმავე გაზეთს სწერენ: დღეს, 13-ს ოქტომბერს, ნაშუადღევის მეხუთე საათზე, საიმპერატორო მატარებელი, გელათიდგან წამოსული, გაჩერდა მოწამეთის მონასტრის მახლობლად. მათ უდიდებულესობათა, მემკვიდრე ცესარევიჩსა და დიდს მთავარს გიორგი ალექსანდრეს ძეს მიეგებნენ ბაქანის მახლობლად სოფლის მოხელენი და მცხოვრებნი. ბაქანიდგან მონასტრამდე უავგუსტოესი სტუმრები ფეხით მობძანდნენ. ტაძარში მათ უდიდებულესობათ მიეგება არხიმანდრიტი ბესარიონ კრებულითურთ. მცირე პარაკლისს შემდეგ დეკანოზმა გაბრიელ ცაგარეიშვილმა მიართვა ხატი მთავარ-მოწამეთა დავით და კონსტანტინესი და სიტყვა მოახსენა. ხელმწიფე იმპერატორი და ყველა წევრნი სამეფო გვარისანი ემთხვივნენ წმ. დავითსა და კონსტანტინეს. ეკკლესიის დათვალიერების შემდეგ მათ უდიდებულესობათა დაწვრილებით დაათვალიერეს მონასტერი, კოშკი, სენაკები. რამდენსამე ადგილიდგან მათნი უდიდებულესობანი გადასცქეროდნენ წყალ-წითელას და სტკბებოდნენ კარგის სანახავით. ხუთს საათს თხუთმეტი წუთი აკლდა, როცა მათნი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ ქუთაისს და ხალხმა დიდის ამბით გააცილა.

*** მთავარ-მართებელს კავკასიისას, თავ. ალექსანდრე მიხეილის ძეს დონდუკოვ-კარსაკოვს, უმაღლესად ებოძა შემდეგი რესკრიპტი:

„თავადო ალექსანდრე მიხეილის ძევ! წელს კავკასიამ ჩემზე ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა. დაერწმუნდი რა, რომ თქვენდამი რწმუნებული ქვეყანა კეთილად წარიმართება და ჰყვავის, დაერწმუნდი რა, რომ თქვენ მუდამ ჰზრუნავთ ბრძოლის ველზე სახელ-განთქმულ ჯარებში დაიცვათ ჩინებული წესი და რიგი და ყაზახის ჯარებში ბუნებითი მხნეობა და მამაცობა, რაიცა შეადგენს ამ ჯარის საუკეთესო თვისებას, მე ესიამოვნებ და მოგიძღვნით თქვენ ჩემს მადლობას თქვენის კეთილის სამსახურისათვის, რომელიც ჩემთა განზრახვათა შეეფერება. დარწმუნებული ვარ, რომ სახელოვანი მხედრობა კავკასიის ოლქისა, რომელთან თქვენ სიყრმიდგანვე თან შეზრდილნი ხართ ბრძოლის ველზე, სამერმისოდაც იგივე იქნება. ამასთანავე მადლობით ვიხსენიებ თქვენს წინანდელს სამსახურს ტახტისა და სახელმწიფოსადმი, რომელიც ღირსი იყო ჩემის ღვთივ განსვენებულის მამის ყურადღებისა; მე, სამაგიეროდ თქვენის სახელოვანის სამსახურისა, მოგიძღვნით ჩემს წყალობას და გიბოძებთ წმ. ანდრია პირველ-წოდებულის ორდენს, რომლის ნიშნები ამასთანავე წარმოგზავნილი, ჩემის ბრძანებისამებრ, უნდა ატაროთ.

„დავშთები მუდამ ქამს თქვენდა მწყალობელი. ნამდვილზე მის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელით აწერია:

და მადლიერი ალექსანდრე“

13-ს ოქტომბერს, 1888 წ.

*** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალს, სამსახურიდგან გადამდგარს გენერალ-ლეიტენანტს, თავ. ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკის უმაღლესად ებოძა ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა; თელავის მაზრის მარშალს თავ. რევაზ ვახვახიშვილს—დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის ჩინი; ტფილისის სადეპუტატო კრებულის დეპუტატს კოლეჟსკი ასესორს კონსტანტინე ბუჰყიევს—ორდენი წმ. ანნასი, მეორე ხარისხისა; ტფილისის ქალაქის თავს კოლეჟსკი სეკრეტარს ალექსანდრე მატინოვს—ორდენი წმინ. და ვლადიმერისა, მესამე ხარისხისა; სიღნაღის მაზრის მემამულეს, თავ. ილია ახაზს, თავ. ალექსანდრე ჭავჭავაძეს, კოლეჟსკი სეკრეტარს ალექსანდრე ყორღანოვს, ილია ენიკოლოფოვს, ტფილისის საპატიო მოქალაქეს ივანე შადინოვს და ქალაქ ახალციხის თავს ივანე მუტაფოვს, დუშეთის მაზრის მარშალს თავ. დავით ერისთავს—ორდენი წმ. ანნასი, მეორე ხარისხისა; ახალქალაქის მაზრის მემამულეს მამედ-ალი-ბეგ ლალაბეგ-ზადე ფალავანდიშვილს—ორდენი წმ. სტანისლავისა, მესამე ხარისხისა.

*** ქუთაისის გუბერნიაში უმაღლესად ებოძათ: წმ. სტანისლავის ორდენი, მესამე ხარისხისა, მეორე გილდიის ფოთელს ვაჭარს დიმიტრი სმირნოვს, ქუთაისის მიხეილის საადგილ-მამულო ბანკის თავმჯდომარეს, თავ. დიმიტრი დადიანს, და რაჭის მაზრის მცხოვრებს თავ. კონსტანტინე ყიფიანს.

*** ჩვენ გვწერენ: 5-ს ამ თვისას, კახეთის გზაზე, ნავთლუღსა და შავსოფელ შუა რამდენმამე ცხენოსანმა თათარმა გაძარცვეს სომეხი პეტროსიანი, რომლისათვისაც წაურთმევიათ რვა თუმანი ფული და ოქროს ძეწკვი. ამ ადგილიდგან ორის საათის სავალზე, ორხევის სადგურს ზემოდ, ძველს საცხენო გზაზე პატარა ლილოს ხევში იმავე ღამის განთიადისას, ექვსმა თათარმა გაცარცვეს ბაგრატ წერეთელი, რომელსაც წაართვეს ასი მანათი ფული, ვერცხლის ქამარი, მოვერცხლილი ხანჯალი, ვერცხლის მასრები, ოქროს საათი ძეწკვითურთ—სულ ოცდა-შვიდის თუმნისა. ამ ღამეს ერთი ვიღაც სხვა მგზავრიც მოდენილა, მაგრამ გაცარცვას გადარჩენილა, რადგანაც წერეთლის გაცარცვის დროს გადამალული ყოფილა ხევში. ავაზაკები ამით არ დაკმაყოფილებულან. ამ თვის 15-ს, ლოჭინს ზემოდ, სახელმწიფო გზაზე, რვა თათარმა გაცარცვა სამი ფურგუნი და რამდენიმე კაცი დასჭრეს. წაურთმევიათ სამასი მანათი ფული, ვექსილები, სხვა-და-სხვა ნივთები, დაუმტვრევიათ შაქრის «ბოჭკები». ჩაი და სხვა საქონელი აუკიდნიათ ცხენებზე და ქალაქისაკენ წამოსულან. რაც მათთვის გამოსაყენებელი არა ყოფილა, სულ ერთიანად დაუკუწნიათ და გზაზე დაუყრიათ, ამასთანავე დიდ-ძალი ცხვარი გაურეკნიათ.

ამ მოკლე ხანშივე იმავ გზაზე გაუძარცვავთ ვიღაც ხაშმელი მეურმეები, რამდენიმე კახელი და ორი ფაიტონი. როგორც სჩანს, ყველა ეს ავაზაკობა ერთსა და იმავე ავაზაკებს უნდა ჩაედინო.

*** გურიიდგან გვწერენ: ერთი სავაგლახო და სალაპარაკო ამბავი ამ დროებით ის არის, რომ ყაჩაღებისაგან მოსვენება არა გვაქვს. ყოველ დღე ის-და გვესმის, რომ ესა-და-ეს გაძარცვესო, ამასა და ამას ოჯახი აუკლესო, ესა-და-ეს ქალი დაიპირეს და გააუპატიურესო და მრავალი სხვა. ეს ყაჩაღები ისე თავ-გასულნი და გაწუწკებულნი არიან, რომ არც საწყალ მუშა ხალხს ჰზოგავენ, არც მესენაკე დედაბრებს, ქალებსა და ბავშვებს. ამას წინად ეს ჩვენი გმირები გზაზე დახვედრიან შეგირდებს, რომლებიც თავ-თავიანთ სახლიდგან ოზურგეთის სკოლაში მიდიოდნენ, და ის თითო-ოროლა მანეთი წაურთმევიათ მათთვის, რომელიც დედ-მამას გამოუტანებიათ წიგნების სასყიდლად.

*** გაზეთ Сѣверный Кавказъ-ის სიტყვით, როგორც სჩანს, განსვენებულის დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის მკვლელების კვალი აღმოუჩენიათ. ამბობენ, ერთ-ერთს მკვლელს სიმთვრალეში დაწვრილებით უამბნია ამხანაგებისათვის თავისი დანაშაულობა. ამ კაცს უთქვამს, რომ მკვლელი ორნი ვიყავითო; მეორე მკვლელი უკვე გარდაიცვალაო. როდესაც ჩვენ გავძარცვეთ ყიფიანიო, ამბობს მკვლელი: წასვლას ვაპირებდითო, მაგრამ ვიფიქრეთ: ვაი თუ გვიცნო და მთავრობას შეატყობინოსო; ამიტომაც ისევ მივედით დ. ყიფიანთან, რომელიც ხელ-ფეხ-შეკრული იყო, და მოვკალითო.

## ქართული თეატრი.

პარასკევს, 14 ოქტომბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ვ. სუნდუკიანცის „პეპო“ და ვოდევილი „დატრიალდა ჯარა“. დამსწრე საზოგადოებას ძალიან სასიამოვნოდ დარჩა ეს წარმოდგენა. ქ-ნმა გაბუნია-ცაგარლისამ „პეპოში“ ორი როლი ითამაშა, პეპოს დედისა, რომელშიაც ადრეც გვინახავს, და ზიმზიმოვის ცოლისა. ორივე როლი ჩვეულებრივ კარგად ასრულა ცოტაოდე ადგილებს გარდა. დედის როლი უკეთესად ითამაშა, ვიდრე ზიმზიმოვის ცოლისა, თუმცა არც ამ როლში იყო სუსტი.

ბატონმა აბაშიძემ ამ საღამოსაც კვლავინდებურად დაგვატკბო მშვენიერად როლის ასრულებით. ბ-ნი ყიფიანი გიქოს როლში ისეთივე ტიპი იყო ტფილისის ძველებურ მოხუც მოქალაქისა, რომელიც მან შექმნა და რომელსაც ყოველთვის ცოცხლად გვისახავს ხოლმე თავისის თამაშობითა. ჩვენ სანატრელად გვრჩება, რომ ბ-ნი ყიფიანი ისეთის მეცადინეობით ასრულებდეს თავისს როლებს ყველა პიესებში.

პეპოს დის როლი ითამაშა ქ-ნმა ჩერქეზიშვილისამ და საკმაოდ კარგა შეასრულა. საზოგადოდ ჩერქეზიშვილისა, როგორც კვლავ შენიშნული ყოფილა, უნიჭო მოთამაშე არ არის. გარეგანი შეხედულობა, მიხვრა-მოხვრა, კარგი მკაფიო მეტყველება,—ყველა ხელს უწყობს გაწრთვნას თავისი ნიჭი და მომავალში დახელოვნებული არტისტი-ქალი დადგეს. აქ შეგვიძლიან შევნიშნოთ, რომ მის თამაშობას აფექტაცია აკლია. სიარულსა, მიხვრა-მოხვრასა და ლაპარაკში და იმ დროსაც, როდესაც არა ლაპარაკობს, ის გამომეტყველება არა აქვს, რომ იმისს თამაშობას მკაფიო შთაბეჭდილება ჰქონდეს მაყურებელზედ, მაგრამ აქ შენიშნვასთან ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ქ-ნ ჩერქეზიშვილისა თანდა-თან კეთდება და, იმედია, წარმატებაც ენახოთ. ვურჩევთ ქ-ნ ჩერქეზიშვილისას ხელ-მკლავების გაშლას და მოძრაობას ყურადღება მიაქციოს და სულ ერთ სახედ არ ათამაშებდეს და არა შლიდეს.

პირველი როლი პეპოსი ამ საღამოს ბ-ნმა გამყრელიძემ ითამაშა. ეს ახალი მოთამაშე ყმაწვილი კაცია, ჩვენს სცენაზე პირველად ამ სამიოდე წლის წინად გამოვიდა და ცოტაოდენს ხანს ვარჯიშობდა. იმას წინადვე ეჩვენოდა საატიორო ნიჭი და ამის გამო, როგორც ეტყობა, წელს დრამატიულ საზოგადოების მმართველობას მიუღია თავისს დასში. ჯერ-ჯერობით გადაწყვეტით თქმა არ შეგვიძლიან, რა როლების შესაფერს ნიჭს გამოიჩენს. მხოლოდ ეხლა შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ციმბირელში და პეპოში ბ-ნი გამყრელიძე გვეჩვენა მოცადინე, მოფიქრებულ და ბეჯით მოთამაშედ. როლების კარგა გაზეპირება ერთი უეჭველი საჭიროებაა, ურომლისობაც ხოგჯერ ეტყობათ ჩვენს არტისტებს. შემდეგ ამ გაზეპირებისა ბ-ნს გამყრელიძეს არსად არ ეტყობა გადამეტება, გადაცილება, მოუხერხებლობა და უშნოობა ან მიხვრა მოხვრასა, ან სიარულსა, ან სიტყვა-პასუხსა და ან საზოგადოდ მეტყველობაში. ბორძიკი ენისა, ბორძიკი მოძრაობისა იშვიათად ემართება, თავისუფლობა ყველაფერში ეტყობა. პეპოში და სხვა პიესებში იმისი ღირსება ეს არის.

მაგრამ ამ სინიდისიერს ამსრულებელს რამდენიმე ნაკლულევანება აქვს. ეს ნაკლულევანება იგივეა, რაც ქ-ნს ჩერქეზიშვილისაზე ვსთქვით, ესე იგი აფექტაციის უქონლობა. მეტისმეტად სადად თამაშობს და ნათამაშევსა და ნალაპარაკევს სიცოცხლეს უკარგავს, ნათლად არ გვიხატავს თვალ-წინ და შთაბეჭდილებას მტკიცედ არ არჩენს გრძნობასა. ამ ნაკლულევანებისაგან მომდინარეობს სხვა ნაკლულევანებაც: სიჩქარე, სადაც საჭირო არ არის, ხმა-დაბლობა, სადაც საჭიროა ხმა-მაღლობა, ანუ ძლიერად გამოთქმა; შეუსვენებლობა, სადაც შესვენება, ანუ გაგრძელებაა საჭირო, ერთის სიტყვით, გულის მოძრაობისა და გრძნობათა მღელვარების გამოთქმას აკლია მკაფიო გამოსახვა მიხვრა-მოხვრითა და ნამეტნავად ხმით. ბ-ნს გამყრელიძეს თითქოს გამბედაობა აკლდეს, თითქოს კრთებოდეს, თუმცა-კი სახის გამომეტყველებასა და მოძრაობაზე ემჩნევა, რომ ნამოქმედარს, ნათქვამსა და თქმულს კარგადა ჰგრძნობს. ჩვენი სურვილია ეს ნაკლულევანებანი აიცდინოს თავიდამ და მაშინ მართლა უკეთესად დაგვანახვებს თავისს ნიჭსა და ხელოვნებას. ზემოხსენებული ნაკლულევანება უფრო, ვგონებთ, გარეგანი ნაკლულევანება იყოს და არა ბუნებითი. პეპოს თამაშობაში ვნახეთ ბ-ნის გამყრელიძის ყველა ეს ღირსება და ნაკლულევანება. წარმოდგენის დროს ვინატრეთ, რომ პიესის ავტორის ბ-ნ სუნდუკიანცის გამმართველის წვრთენა ენახა ბ-ნს გამყრელიძეს. დარწმუნე-

ბულნი ვართ, რომ არტისტის თამაშობას ბევრი შეემატებოდა. ბ-ნმა აწყურელმა თავისებურად ცოცხლად ითამაშა, მაგ ამ ცოტა აუჩქარდა და როლი უფრო გიჟმოზეს როლს დაამსგავსა. ბ-ნს აწყურელს ეჭირება მომატებული მოფიქრება და შემზადება.

პიესამ ერთობ კარგად ჩაიარა და მაყურებელნი კმაყოფილნი გამოვიდნენ თეატრიდგან.

ვ.

## წერილი რედაქციის მიმართ

«ივერიის» მე-212 №-ში პასუხად ჩემის წერილისა (№ 134) დაბეჭდილია წერილი ბ-ნის ნ. გ—ლისა. საგანი, რომლის გამო დაწერილი იყო როგორც ჩემი «უსამართლო განკიცხვა», ისე ჩემის მოპირდაპირეს პირველი წერილი „ჩვენი ოჯახი“, იმ ნაირის ხასიათისა და რიგისაა, რომ მოსაუბრეს, მბჭობელს სრული სამღისი აქვს მშვიდობიანად, გაუცხარებლად წარმოსთქვას იმის შესახებ თავისი აზრი. ეს თეორიული საგანი არა ჰგავს იმ „დაწყევლილს კითხვებს“, სადაც კაცს ძალა-უნებურად წამოსცდება ხოლმე მკვახე სიტყვაც, გესლიანი ეპიტეტიც. მოიგონეთ თუნდა რიყოვის კორრესპონდენტები, შავროვის წერილები და სანდალას ნაწერები.

სწორედ ამითი ვხელმძღვანელობდი მეც, როცა „ჩვენი ოჯახის“ წაკითხვის შემდეგ დავაპირე პასუხი-ს დაწერა. ჩემის აზრით, ავტორის ზოგი მოსაზრება არც სამართლიანი იყო, არც ჭეშმარიტი და არც მეცნიერების თანახმა და ეს ჩემი აზრი გამოვსთქვი კიდეც. ზოგს აზრს ავტორისას ზომას გადასული და გადაჭარბებული ცილის-წამება ვუწოდე, მაგრამ ეს ის ცილის-წამება ხომ არ არის, რომლის გამოც კაცს სატუსაღოში ამოაყოფინებენ ხოლმე თავს, აქ ცილის-წამება შეეხება არა კერძო კაცსა და იმისს ღირსებას, არამედ საზოგადო მოვლენას, ადათს, ჩვეულებას.

ამ ჩემს აზრს, გულ-დასმით წარმოთქმულს, საკვირველსა და გაუგებარს განცვიფრებაში მოუყვანია ბ-ნი ნ. გ—ლი. როგორც თუ გავბედე და ჩემი აზრები შეურყეველ ჭეშმარიტებად არ მიიჩნიეო, მოუშვია პირი და, რაც-კი დაბახანურს ლექსიკონში სიტყვებია, სულ ჩემს საწყალს თავზე წამოუფხრეწია: ცრუ მეცნიერებაც, სისულელეც, უმეცრებაც, მეტიჩრობაც. თურმე სუყველა ამითი აღჭურვილი ვყოფილვარ. ყველა ეს ბედნიერება ხომ მარტო ამ კერძო საგანში არ გამოხატულა. თურმე ეს უმეცრება და მეტიჩრობა ჩვენს ჩვეულებრივს თვისებას შეადგენს. „ჩვეულებრივი უმეცარი და მეტიჩარაო!“ რათა, ბატონო, ამდენი რისხვა და კიცხვა? ნუ თუ მხოლოდ იმიტომ, რომ გავბედე და ორიოდე შენიშვნა გამოვსთქვი თქვენის წერილის შესახებ? კარგი, ვსთქვათ, რომ მართლა ჩემი მოსაზრება უმეცრების ნიშანია, „მეტიჩარობა“ აქ რაღა შუაშია? ნუ თუ სალიტერატურო ასპარეზი, «ივერიის» ფურცლები თქვენი ისე გაუყოფელი სამფლობელოა, რომ თქვენს მეტს ხმის ამოღებაც არავის შეუძლიან. მგონი, რომ ჯერ არ დაგიმსახურებიათ იმდენად სახელი მედიდურობისა, რომ ბრძანება თქვენი კანონი იყოს ყველასათვის. ეს «ჩვეულებრივი მეტიჩარობა» რაღაა? ერთად-ერთმა ჩემმა ფელეტონმა ნუ თუ იმოდენა აუწყა თქვენს ჭკუას, რომ ცხადად წარმოიდგინეთ ჩემი ზნეობითი და გონებითი სურათი? ამბობენ, რომ დიდმა საფრანგეთის ნატურალისტმა Cuvier'მა ერთის ნაპოვნის კბილის მეოხებით აღადგინა ჩონჩხი დედამიწიდგან დიდის ხნის გამქრალის ცხოველისაო, და ეს ყველას დიდ საქმედ მიაჩნია. თქვენ, ჩემო ბატონო, მეტი მოგიხერხებიათ: პაწაწინა აზრების ნაწყვეტიდგან ცხადად აღგიდგენიათ ათი ათასჯერ უფრო რთული და ძნელად გასაგები გონებითი და ზნეობითი სურათი კაცისა. დიდება სახელსა თქვენსა!

რასაკვირველია, რომ ხსენებული პოლემიური კილო არავის არ წაახალისებს განაგრძოს ლაპარაკი და ბაასი აღძრულს საგანზედ; ამიტომაც ვუთმობთ ბ-ნს ნ. გ—ლს სარბიელს: დეე იფიქროს, რომ ჩვენი უმეცრება ვერ გასწვდა იმისს მაღალსა და ნამდვილს მეცნიერულს მოსაზრებას.

ნ. ჩ.

## რუსეთი

სახელმწიფო საბჭოს მომავალს სესიაზედ განხილულ იქმნება პროექტი, რომ ფულად გარდასახადი დაწესდეს იმ ჯარში გამოწვეულთათვის, რომელთაც ჯარში წასვლის კენჭი არ ერგებათ. ამ მხრიდგან, როგორც გამოანგარიშებულია, სახელმწიფო ხაზინას მიემატება თურმე შემოსავალი 3 000,000 მანათამდე.

— გაზ. „С.-Пет. Вѣд.“-ი ამბობს, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროში უკვე გარდაწყვეტილია და დღეიდგან კონსულების ადგილები საზღვარ-გარედ სამსახურიდგან გადამდგარს ზღვის აფიცრებს უნდა მიეცეთო.

— აგერ თურმე მთელი ერთი კვირაა, პეტერბურგში დადიან 15—20 კაცამდე სხვა-და-სხვა დაწესებულებაში და სცდილობენ „წმინდანი“ გაანთავისუფლონ. ეს „წმინდანი“ ნოვგოროდელი გლეხი დედაკაცია, ეკატერინე კისელევისა, 50 წლისა, რომლისთვისაც მომრიგებელ-სასამართლოს $2\frac{1}{2}$ თვით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვეტია. ეს დედაკაცი ამ ჟამად დატუსაღებულია. ამისი „წმინდანობა“ მართლადა სწამთ; ამბობენ, რომ ანგელოზებური ცხოვრება აქვს, ღმერთთან უბაასნია და უეჭველად უნდა განთავისუფლებულ იქმნასო. ამასობაში საქმის დაწვრილებულს გარემოებას-კი ეს დედაკაცი მეტად აკ ადამიანად გამოჰყავს. ამ რამდენისამე ხნის წინად შეძლებულის ხელოსნის ცოლი თეკლე რიბნიკოვისა წავიდა თურმე კრონშტადტს დეკანოზის იოანე სერგეევის სანახავად. აქ რიბნიკოვისას, სხვათა მლოცველთა შორის, უნახავს ზემო ხსენებული „წმინდანიც“. დაინახა თუ არა თურმე «წმინდანმა», რომ რიბნიკოვისა მალიან გულ-უხვად უწყალობებს მათხოვრებსაო, მაშინვე გაეცნო დაახლოვებით.

„— მე მოწოდებულ ვარ ქრისტე ღმერთისაგან, რათა ვუშველო მამა იოანეს, — დაიწყო თურმე ამ „წმინდანმა“: — ღმერთმა უწყის, რომ მამა იოანეს დიდ-ძალი საქმეები აქვს და ამიტომ მე დამნიშნა იმისს ხელ-ქვეითად. ჩქარა დაიწყება ამ ქვეყნად ერთა შორის ბრძოლა და სისხლის ღვრა, რომლის შემდეგაც ყველაფერი ჯოჯოხეთში შთაინთქება, ხოლო მე ვიქმნები დედოფალი საუკუნეს დასასრულს. მე წმინდანი ვარ; ნუ იფიქრებთ, ვითომ ამ ჟამად წმინდანები არ იყვნენ ამ ქვეყნად, არიან. ღმერთი ჰზრუნავს ცოდვილთა სულთათვის და ჩვენ გვიწოდებს, რათა გზასა მართლისასა დავაყენოთ იგინი. და აი მეც უფალმა მომიწოდა, რათა ვიზრუნო შენს ცოდვილს სულზედაო, — დაასრულა თურმე თავისი სიტყვა მათხოვარმა.

თეკლე რიბნიკოვისამ ყველაფერი დაუჯერა თურმე ამ მატყუარას, ფეხთ ქვეშ ჩაუვარდა და დაუწყო კოცნა. ეს ამბავი გამოირკვა თურმე სასამართლოში და კვლავ განხილული იქნება მოსამართლეთა კრების მიერ, რომლისთვისაც გადაუცია ამ „წმინდანს“ თავისი საჩივარი. ერთხელ რიბნიკოვისას საწყალი გოგო უნახავს ფეხ-შიშველა, შეჭირვებულია და გადაუწყვეტნია, რომ ამ გოგოს ახალს ფეხთ-საცმელს ვუყიდიო. „წმინდანს“ წინააღმდეგობა გამოუცხადებია და დაურწმუნებია, რომ ეგ ქალი ცოდვილია, ღირსი არ არის ახალის ფეხთ-საცმელისა და ამიტომ მე მაგას ჩემს ძველებს ვაჩუქებ, ხოლო ჩემთვის ახლები იყიდე, რადგან მე, ვითარცა „წმინდანი“, ახლისა უფრო ღირსი ვარო. რიბნიკოვისაც ასე მოქცეულა. შემდეგ, კრონშტადტიდგან დაბრუნებისას, რაც ფული ჰქონია ამ მათხოვრისათვის დაუტოვებია და თითონ-კი მარტო გზის ფული შეურჩენია. ორს დღეს შემდეგ ეს „წმინდანი“ მისულა რიბნიკოვისასთან პეტერბურგს და აი, ამ დროიდგან იწყება საბრალო დედაკაცის მოტყუება და ძარცვა. ეს „წმინდანი“ დასახლებულა რიბნიკოვის სახლში და უცხოვრია კარგა ხანს. რიბნიკოვისას ქმრისთვის ათი თუმანი გამოურთმევია და კრონშტადტს წასულა „წმინდანთან“ ერთად. ამ ქალაქიდგან თეკლე ჯიბე ცარიელი დაბრუნებულა. ტანისამოსიც არ გამოუცვლია, პირდაპირ დაუწყია თხოვნა კიდევ ათის თუმნისა, რომელიც ძალიან მიჭირს და უეჭველად უნდა მიშოვნოვო. ბოლოს აღმოჩენილა, რომ თეკლეს „წმინდანისათვის“ პალტო შეუკვეთნია და ამისათვის სჭირებია ფული. თეკლეს ქმარი მოთმინებიდგან გამოსულა და კისელევისა პოლიციაში გაუგზავნია. აქ ოქმი შეუდგენიათ და ოქმთანვე შეუნახავთ 68 მანათი, რომელიც „წმინდანს“ ჯიბეში აღმოსჩენია.

„— აღიარებთ თუ არა თქვენს თავს დამნაშავედაო? — ეკითხება მომრიგებელ-მოსამართლე.

„— მე არ აღვიარებ სამართალს ადამიანისას, მხოლოდ ერთად-ერთი მოსამართლეა ჭეშმარიტი და ეს მოსამართლე ბრძანდება უფალი ჩვენიო, — უპასუხნია კისელევს.

კისელევისას სასამართლოში თან მიჰყვა თურმე რამდენიმე ადამიანი, რომელნიც დარწმუნებულნი იყვნენ, იმისს სიწმინდეში, თაყვანსა სცემდნენ და ლოცულობდნენ, ვითარცა «წმინდანს».

„— რად შეუკვეთეთ პალტო კისელევისათვის? — ეკითხება მოსამართლე რიბნიკოვისას.

„— მინდოდა, რომ ჩემი ნაყიდი ღმერთს შეეწირა. კისელევი კვლავ შემოიყვანეს თურმე, რომელიც დაჯდა და ადგომა აღარ უნდოდა იმ დროს, როცა განაჩენს უკითხავდნენ.

„— წამოდექით! — ეუბნება მოსამართლე.

„— მხოლოდ უფლის წინაშე უნდა ვიდგეთ ფეხზედ და მხოლოდ იმასა ვსცემდეთ თაყვანსაო, — უპასუხა დამნაშავემ.

ორს პოლიციელს ეზიდნათ თურმე, როცა განაჩენს კითხულობდნენ. მოისმინა თუ არა გარდაწყვეტილება მოსამართლისა, „წმინდანი“ ეძგერა თურმე მოსამართლეს და დაუწყო გინება.

„— ცა გრისხავდეს, დედამიწა გასკდეს და თან ჩაგიტანოს“...

დამნაშავე გარედ გაიყვანეს. აი ეხლა ამ „წმინდანის“ თაყვანის-მცემელნი დადიან აქეთ-იქით და სცდილობენ როგორმე გაანთავისუფლონ.

## უცხოეთი

საფრანგეთი. უმწვერვალეს მემარცხენეთ უთხოვნიათ კლემანსოსათვის, ჩვენი თავ-მჯდომარე იყავიო. კლემანსოს უტვირთნია ეს პატივსაცემი თანამდებობა და თან სიტყვაც წარმოუთქვამს.

„ბატონებოვო, — უთქვამს კლემანსოს: — ის გაჭირება, რომელშიაც ჩვენ ჩავცვივდით, და რომელიც ასე მოულოდნელად მოგვევლინა, აუცილებელი იყო და უსათუოდ უნდა მოჰყოლოდა პოლიტიკასა ზოზინობისას. გაბრაზებული რეაქციონერები, უკმაყოფილო და გულ-გაქსუებულნი ვიგინდარანი და, ასე გასინჯეთ, ზოგიერთი რესპუბლიკელებიც-კი ერთად შეერთდნენ და ყოვლის ღონისძიებით სცდილობენ გაბატონონ აჯანყებული ჯარის-კაცი. ამათ ყველას ჰგონიათ, რომ ეს ჯარის-კაცი კარგი გამოსაყენებელი კაცია ჩვენის საქმისათვისაო, და ყველა იმას ემსახურება. საჭიროა სიტყვით და საქმით ვეცადოთ, რომ მოვაქციოთ ცთომილნი. საჭიროა უწინარეს ყოვლისა, რომ მთავრობა იყოს მხნე, დაუღალავი, თავდადებული რესპუბლიკის გაპატიოსნებისათვის. საჭიროა, რომ დაიწყოს ცვლილებათა შემოღება. მთავრობას კარგად ესმის, რომ დიდი პასუხის გება აძევს ტვირთად, მაგრამ მაინც ჰსურს შეუდგეს საქმესა. ჩვენც გავყვეთ უკან და შევეწყოთ ხელი მთავრობას. უნდა გადისინჯოს კონსტიტუციაო, ამბობს მთავრობა, და ჩვენც თანავუგრძნობთ. ჩვენ პირველნი ვითხოვდით სარესპუბლიკო კონსტიტუციას და ამიტომ, როცა დრო მოვა, თავისუფლად ვსაჯოთ იმის შესახებ, რაც ითქვა, ან ითქმის კიდევ შემდეგში... მაგრამ საქმე იმაშია, რომ ზოგიერთს თავი ისე უჭირავს, ვითომ 1875 წლის სამონარქიო პარლამენტარობას ებრძვიო და ის-კი არა თუ უნდათ დაამცირონ საზოგადოდ სარესპუბლიკო წეს-წყობილება, რომელიც თვით რესპუბლიკა არის. კრებას, შეერთებას იმიტომ ამცრობენ, რომ აღადგინონ თითოეულის ბატონობა. ყველას უნდა დავანახვოთ, სად მივყევართ და სად გვეწევიან. უნდა მოვაგონოთ ყველას, რომ რესპუბლიკა თითოეულის ბატონობაზედ არ არის დაფუძნებული, რომ ვისაც უნდა კეთილის რესპუბლიკელის სახელი დაიმსახუროს, უპირველეს ყოვლისა საჭიროა გრძნობდეს და სჯიდეს ისე, როგორც რესპუბლიკელს შეეფერება, არ ეძებდეს მხსნელსა და მაცხოვნებელსა, იმედი ჰქონდეს მხოლოდ ისეთის მოღვაწეობისა, რომელიც შესაფერია ღირსეულის მოქალაქისა მოქალაქეთა შესახებს საქმეებში. საჭიროა გულითა და სულით უარჰყოფდეს ფიქრსა და გრძნობას მზაკვარის მონისასა. ჩვენმა ქვეყანამ იწვნია წყენი ასეთის მზაკვარის მონობისა. ჩვენი ნანგრევნი ჯერ კიდევ ცხადად ჰქადაგობენ, რა შავი და ბნელი დღეც დაგვადგა წინად. ვეს შეუძლიან დაივიწყოს რა წისქვილი დატრიალდა საფრანგეთის ქედზედ, როცა ფრანგთა უმრავლესობას მოსწყინდა თავისუფლება? რა შეგვძინა იშვიათმა გენიოსმა? რა მოგვიტანა ავანტიურისტმა? ორთავემ ის შეგვძლენა, რომ მტერი შემოესია ჩვენს ქვეყანას, ის შეგვძლენა, რომ სამშობლო განაწილდა! სასწაულით მოქმედებამ გადაარჩინა ერი. რამდენი იმედი დაიბუდა მაშინ იმ ვაივაგლახით გამოვლილს დღეებს შემდეგ; რამდენი დამკრობა დაგვატყდა ახლა თავსა! მტერი უყურყურებს ქვეყანას. ბოროტ-გამზრახველნი ემუქრებიან. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ საფრანგეთი კვლავ გაცოცხლდება, მოიშორებს თავიდამ სირცხვილს, არ გაებმევა მახეში და აიცილებს ყოველ გვარს განსაცდელსა. მაშინ ყველა რესპუბლიკელი თავ-თავის ალაგას უნდა იდგეს. მოღალატე იქნება ის, ვინც მაშინ შინ თავის ალაგას თავს დაანებებს. არა, საფრანგეთი არ აიღებს ხელს თავისს დიდებასა და თავისუფლებაზედ. საფრანგეთი იქნება კვლავაც თავისის თავის ბატონი, შეჰმუსრავს ყველას, ვისაც უნდა თავს მოახვიოს ქვეყანას მტაცებელი ტახტისა, და, სიცოცხლით აღვსილი, კვლავ მიჰმართავს კაცთა უფლებას, რომელიც დღე-მუდამ ძლიერდება, საზოგადო სამართლიანობას, რომელიც დღე-მუდამ მაღლდება.

## წვრილი ამბები

პასტერი შლეიერი, ვოლაპუკის გამომგონი, არ მომკვდარა და ტყუილია იმისის სიკვდილის ამბავი, რომელიც ჩვენც გადმოვბეჭდეთ ჩვენს გაზეთში. ერთიმ ოც წევრთაგანს „საერთაშორისო ენის აკადემიისას“, რომელიც ამ ორის წლის წინად იქმნა დაარსებულ მიუნჰენში, გამოუცხადებია, რომ 5 ოქტომბერს დეპეშა მივიღეთ თითონ შლეიერისაგან კარგად მყოფობისაო.

— ამ ჟამად ბერლინში დიდი აყალმაყალი და აურზაურია ატეხილი თურმე იმის შესახებ, რომ ერთს იქაურს მამულთ-მეპატრონეს თავისი დედინაცვალი შეურთავს. ეს ქორწინება კანონის წინააღმდეგ არის მომხდარიო.

— ბრაზილიიდგან იუწყებიან, რომ იმპერატორი დონ-პედრო II, რომელიც ამას წინად რიო-ჟანეიროდგან დაბრუნებულა, ძალიან კარგად არის თურმე და კვლავ აპირებს სახელმწიფოს გამგეობას ხელი მიჰყოს.

— „Augsburger Abendzeitung“-ი ამბობს, რომ ცამერნსა, პფალცბურგსა, მაურენგოპსტერსა, დაგსბურგსა და სხვა ადგილებში გავრცელებულია წუმწუმის ყუთები, რომლებზედაც დახატულია სურათით. ალექსანდრე ბატტენბერგისა, ზოგიერთებზე გენერლის მუნდირით და ზოგიერთებზე პოლკოვნიკის ტანისამოსით. სურათებს ქვეშ შემდეგი წარწერა აქვს: „ალექსანდრე I, მეფე საიმპერიო პროვინციებისა, დიდი ჰერცოგი ელზას-ლოტრენისა და ან ალექსანდრე I ელზას-ლოტრენისა“. ამ ყუთებს, როგორც ხმა დადის, ლიუქსემბურგში აკეთებენ თურმე.

— ილინოისიდგან დეპეშით შემდეგს საოცარსა და ამასთან საშინელს ამბავს იუწყებიან. ერთი ჩიკაგოელი მომუშავე პეტერ სტრაბე, რომელიც ცუდად დადიოდა, წავიდა თურმე საქმის საძებნელად მატაუნში; ეს საბრალო კაცი მისულა თუ არა მატაუნში, უეცრად უგრძ-

ნია, რომ ქმმაკებმა შემიპყრესო და ხტუნვას მიბმანებენო. დაუწყია უბედურს ხტუნვა საღამოს 9 საათიდგან დილის 3 საათამდე და ბოლოს პერანგის ამარა გარედ გამოვარდნილა, იქნება ღანდი მოვიშორო როგორმეო. ამასობაში ქმმაკები კვლავ შემოეხვივნენ თურმე „როგორ მოვიქცე ისე, რომ თავი დამანებოთო“, უთქვამს პეტერს.—„თვალები დაითხარეო“, უპასუხნიათ ქმმაკებს. სტრაზესაც ამოუგლეჯნია ორივე თვალი თავისის საკუთარის ხელით. რამდენსამე საათს შემდეგ უპოვნიათ საბრალო ქუჩაზედ სისხლში მოსვრილი. ქმმებს იმედი აქვსთ თურმე, რომ ამ კაცს ერთი თვალი გადაურჩინონ, ის თვალი, რომლის დაშავება სრულიად ვერ მოუსწრია.

# დეპეშა

## 15 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ს.-პეტერბურგის ბირჟაზე ტფილისისა და ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკების გირავნობის ფურცელნი ფასობენ 97 მანათად. ტფილისის საქალაქო ნდობის საზოგადოების ობლიგაციებში იძლევიან 81 მანათს.

**მოსკოვი.** აქაურს ოლქის სასამართლოში არჩევენ ტყუილის ვექსილების შემდგენელთა საქმეს. ბრალდებულნი თორმეტნი არიან. ზოგი მათგანი ადგენდა ვექსელებს იმათ სახელობაზე, ვინც უკვე გადაცვლილან და ვისი ქონებაც მემკვიდრეთა გამოუცხადებლობის გამო ობოლთა სასამართლოს ხელში გადასულა; ზოგნი ახდევინებდნენ თურმე აღმასრულებელის ფურცლების ძალით, ზოგნი კიდევ აპეკუნებად ინიშნებოდნენ და, მიიღებდნენ თუ არა სახივარს, მაშინვე კანონიერად ჩარიცხავდნენ ხოლმე ამ სახივრებსა.

**ბელგრადი.** იმ კომისიაში, რომელმაც უნდა გადასინჯოს კონსტიტუცია, დაინიშნა თითო წარმომადგენელი ყველა დასისა. დროებით კომისიის თავ-მჯდომარედ თვით მეფე იქმნება.

**პარიჟი.** სენატის რესპუბლიკელთა მემარცხენენი კონსტიტუციის გადასინჯვას უარობენ.

**ბრიუსელი.** ბრიუსელის ბანკმა ასწია დისკონტი 4-დამ 5%-მდე.

## 17 ოქტომბერი

**სევასტოპოლი.** თხუთმეტს, შუადღისას, იალტიდგან ცხენებით მოვიდნენ მათ უდიდებულესობათა უავგუსტოესნი ძენი; გუშინ დილით კი კრეისერით „Москва“ მშვიდობით მობრძანდნენ მათნი უდიდებულესობანი. მათ უდიდებულესობათა დაათვალიერეს „მორსკოე სობრანიე“ და ყაზარმები, მიიღეს ქალაქისაგან პურ-მარილი და უავგუსტოეს ძეებითურთ ნაშუადღევის ხუთს საათზე წაბრძანდნენ სევასტოპოლს. მათ უდიდებულესობათა ხალხი ყველგან დიდის ამბით და ძლიერის „ურას“ ძახილით ეგებებოდა. ქალაქი დროშებით მორთული იყო.

**პეტერბურგი.** გუშინ შლისელბურგის მახლობლად ცოტა-ოდენი ყინული დაიძრა ნევაზე. მდ. ვოლგაზედაც, იაროსლავის მახლობლად, დაიძრა ყინული.

**პეტერბურგი.** საიმპერატორო კარის მინისტრი დეპეშით იუწყება: კურსკსა და ხარკოვს შუა, რკინის გზაზე, ბორკას სადგურზე, რელსებიდგან გადმოვიდა საიმპერატორო მატარებლის მეორე ლოკომოტივი და ოთხი ვაგონი. ღვთით, ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდი მთავრები და დიდი მთავრინეჲი და ამალა სრულიად უვნებლად გადარჩნენ.

**მოსკოვი** (დეპეშა თხუთმეტის ოქტომბრისა). სასამართლომ გაარჩია საქმე ყალბის ვექსილების მკეთებელთა. დამნაშავე თორმეტი იყო. ამათგან სასამართლომ ნიკოლსკის მიუსაჯა ყველა უფლებათა აყრა და ციმბირში გაგზავნა საცხოვრებლად; ერშოვს და კისელიოვს დაუნიშნა საარესტანტო როტებში გაგზავნა. პირველს—ოთხის წლის ვადით და მეორეს—სამ ნახევარ წლობით. დანარჩენები სასამართლომ გაამართლა.

## 18 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** პეტერბურგში მოთბა და თოვლ ჭყაპია; ნიჟნი-ნოვგოროდთან მთელი ვოლგა გაიყინა და გაიფიცრა.

**ათინა.** გუშინ მობრძანდნენ აქ დიდნი მთავარნი სერგეი და პაველ ალექსანდრეს ძენი და დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული.

**ბერლინი.** იმპერატორი ვილჰელმი გუშინ ჰამბურგში იყო. იქიდამ გზად მიმავალმა ფრიდრიხსრუეში შეიარა თავად ბისმარკთან.

**ლონდონი.** შუაგულს აფრიკაში წასული სახელოვანი მოგზაური სტენლი მოუკლავთ ნადირ-მყოფ კაცებს.

პეტერბურგის ბირჟა, 14 ოქტომბ.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7 52 | — „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 150¾ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 16 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 261¾ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | 236½ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

**საკალენდარო ცნობანი**

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

ღვინობისთვე 31 დღით არს

**19 დღე ოთხშაბათი.** წინასწარ-მეტყვ. იოილისა. კათოლ. პტოლომეასი. სომ. მარხვაა. მუსულ. მე-26 რიცხვი თვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—31, ჩადის 4—56. მთვარე 26 დღისაა.

**20 დღე ხუთშაბათი.** დიდის მოწამ.ს არტემისა. კათოლ. ეპ. იოანე ვანდალიიზასი. სომეხ. წმ. მოწ. არტემისა და ქრისტეფორესი და მათთა ცოლთა კალინიკისა და აკულინისა. მუსულ. მე-27 რიცხვი თვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—33, ჩადის 5—25. მთვარე 27 დღ საა.

**გამოსადეგი ცნობანი**

**ნიხრი**

**1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.**

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. . 3½ „
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 „
„ „ 2 — 4 „
„ „ 3 „ 3½ „

ჯვარის მამის პურის ლავაში

1-ლის ხარისხისა . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . 4 „
მე-3 — . . . „ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
ღორის ხორცი . . . „ „
„ 2 „ „ „

# მიმოსვლა რკინის გზისა

## ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 0 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი. . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი. . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი. . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები. . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევეს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

## ტფილისსა და სურამ შუა

| | დილით | | | | | ღამით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი. . | 8 | 24 | — | — |

**კერძო ექიმი**

**პრეობრაჟენსკი**

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზავის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, ბექხანოვის, სახლი, № 103. (10—3)

ექიმი **რეიხი** კვლავ მიიღებს

თვალით ავადმყოფთა.

გრიბოედოვის ქუჩა, სახლი ხარაზოვისა, № 3, ყოველ დილით. (4—3)

**გამოვიდა და ისყიდება**

ახალი ქართული წიგნი

**მამიდა ასმათი**

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

**წერა-კითხვის გამავრცელებელ**

საზოგადოების

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . . | „ | 15 |
| ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . . . | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . . | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . . | „ | 25 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| ხაიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . | „ | 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი. . . . . . . . | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . | „ | 5 |

Доз. ценз. Тифлисъ, 18-го Октября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинская ул. пом. Т. Д. 3 Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე